

ნიკოლაის გზით



პროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 2 (268) 26 თებერვალი ორშაბათი, 2018 წელი; ფასი 1 ლ.

საეკონომიკური ენციკლოპედიის ბიძოცის შთაბეჭდილი და აღმშენებელი



„ვის ნაჭაბმაგვს მეტენი შვიდნივე უჭაბდ დამესხნეს, თუბდნი, სპაბსნი და აბამნი, საზღვაბსა გაბტე გამესხნეს, თუგზნი ამბბბთა წყალთაგან, იმბბბთა წყალთა შთამესხნეს, აწე ამსთა მბბმბდსა ხელნი გულგზდა დამესხნეს“.

ახალი სანარკო - 3000 მუშა-მოსახლარეზი

ფოტოში nike, puma, under armour და new balance შეიქარება

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მხარდაჭერით, ფოტოში „აჭარა ტექსტილის“ ახალი საწარმო გაიხსნა. საწარმო დღეს საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გახსნა. დონისძიებას ასევე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავედი დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, ფოტის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, ქალაქის მერი გონა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე დავით კოღუა „აჭარა ტექსტილის“ დამფუძნებელი ჯემალ ბილაგინი და ნიკოლაის რეგიონული დირექტორი კანერ სოტასი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, „აჭარა ტექსტილის“ ახალი საწარმო პროდუქციას მიაწოდებს ისეთ მსხვილ ბრუნდებს, როგორცაა New Balance და Under Armour. ახალ საწარმოში 3000 ადამიანი დასაქმდება. „ესაც საძირკველი ჩაუყარეთ ამ ქარხნის მშენებლობას, კარგად მახსოვს, რომ მაშინ არსებობდა სკეპტიციზმი, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ასეთ ტრიალ მინდორში ასეთი ინვესტიციების განხორციელება ასეთ დროში. თუმცა, დღეს ჩვენ აქ ვართ და ეს არის მართლაც თვალსაჩინო მაგალითი და დადასტურება, რომ ბიზნესი ვითარდება იქ, სადაც არსებობს ამის სურვილი და სწორი ხედვა. სადაც არსებობს წარმოების რწმენა, რომ ასეთ საწარმოში ჩადებული ყოველი ლარი არა მხოლოდ აქ დასაქმებული ადამიანების, არამედ საბოლოო ჯამში, ყოველი მოქალაქის კეთილდღეობას მოხმარდება“- განაცხადა საწარმოს გახსნის ცერემონიაზე დიმიტრი ქუმსიშვილმა. მისი თქმით, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ინიციატივით განხორციელებული რეფორმებით დასტურდება მთავრობის პრიორიტეტი, რაც ბიზნესის თავისუფლებას და ხელშეწყობას გულისხმობს, განსაკუთრებით კი რეგიონებში. ცნობისთვის, „აჭარა ტექსტილი“ 100%-ით ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიაა, რომელიც უკვე თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო კომპანიებთან, როგორცაა: Nike, Adidas, Puma, Lotto, Erima და საქართველოში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციას საერთაშორისო ბაზარზე ახერხებს. კომპანია წლიურად 10 000 000 ერთეულ პროდუქტს აწარმოებს, ხოლო ახალი მაღალი ხარისხის მანქანა-დანადგარების ამოქმედებით წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდება. კომპანიას ბათუმსა და ქობულეთში უკვე აქვს ორი სამკერვალო ქარხანა, სადაც 2500 ადამიანია დასაქმებული. #ფოტო2018 #აწარმოე საქართველოში #ქართულიადაკარგია



ფოტო-ახალი ნავსადგური-ახალი საქართველოსთვის
ერთი ამჟღის ვასალ
გაყიდული ფოტის კორტი და
შორეული ანაკლია
ახს იბედუნახიბი
ხანნი ვეხბე, თუესა,
სანაბლის მხოლოე იბეით სხოვხიბა?



მე-4-გვ.


გზა ჯვარცხისა და გარდაუვალი აღდგომისა
„ვაი რა კარგი სჩინო რა ავად მივიჩნიესო“
ზვიად გამსახ ურდიას
დევნილობის უკანასკნელი
დღეები
მხატვარი ფიციის „ნიბუცა“
ჰეიბიჩა ფოტოში მე-6-გვ.



რაზაე ორიენტირებული ქალაქი-სტრატეგიული პრიორიტეტი
ქალაქ ფოტის
მუნიციპალიტეტის ახალი მ
ერის 100 დღე
ინტეგრირე ქანაის მახთან, ბახონ
ბორე ხეილუნიასთან
მე-2-გვ.

ქალღმების-კოლმების ნაცარმიყრილი ისტორია
მსოფლიო საკუთრებაა, - გავუფრთხილდეთ!
აკადემიკოს პეტრე ქორეაქიძე - ქალაქიღმლის
„ერთი სენსაციური აღმოჩენის შესახებ“ მე-5-გვ.

„ვერე მათონებე კარბე ყმასა, რაც არ
უჯღმების ჭკვაშია“
ვაჰე
გურამ ფირსხალავა-კაი ყმა
მე-6-გვ.



გილოზაა
ჯუმბერ ცომაია - 60
სხოვხიბის შანდე-მეხე შეხისსახე




ჯუმბერ ცომაია პატარა, მაგრამ დიდი ისტორიის მქონე ქალაქ ფაზისში დაიბადა, აქ პალიასტომის, კაპარტინის, რიონისა და ზღვის შესართავთან გაიზარდა მისმა ბავშვობამ. ამიტომაც გამოვიდა ასეთი კუნთ-მაგარი და გონებაგახსნილი. ფაზისი ხომ უხსოვარი დროიდან დიდ ელინელთა სარბიელი იყო. არგონავტებისა და ოქროს საწმისის მითებში გახვეული. მედეას სამშობლო და გუბაზისა და ქუჯის ძმობით გადარჩენილი ქვეყანა.. სწორედ, ეს ქალაქი გახდა ჯუმბერ ცომაიას ასპარეზი, მალე გაითქვა სახელი, როგორც ტიმ სევერინის ეკიპაჟის წევრმა, რომელმაც შემოუარა მთელს დედამიწას. მისი ნიხბის მოსმა, თითქოს დღესაც ატყვია ზღვას, რიონსა და ფაზისს. რა უნდა იყოს იმაზე დიდი, რაც ოქროს ასობით წერია მსოფლიოს ღებნების მკვლევართა სიაში. „ღამაზად შეიღის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადო“-ეს ჯუკის დედაზე ითქმის, 80 წელს მიტანებული ქალბატონი ამაცობს შვილით და თავს ევლება რძალსა და შვილიშვილს. ჯუმბერ ცომაიას საქმენი საგმირონი ღომის მოქნეული ტორივით ამნეგია მის მშობლიურ ქალაქს. თითუელ ფოთელს ეამაყება იგი და ჩვენ გვჯერა ბატონი ჯუმბერი კვლავაც იტყვის თავის სათქმელს, რამეთუ მზე ჯერ კიდევ შუბის ტარხეა. კიდევ მრავალ, მრავალ წელთა სიმრავლეს ვუსურვებთ ჩვენს საამაყო და დიდ ადამიანს.

მემორების სახელით ბადრი ბასილია

პენსიონერთა კლუბი „გარბერა“ საზღვაო საუსილისტებს შეხვდა

კუნძულის უბნის ზღვისპირას მდებარე პენსიონერთა კავშირ „გერბერას“ წარმომადგენლები შეხვდნენ ცნობილ ჟურნალისტს დავით ქობალიას და საზღვაო საქმის ექსპერტს, იუნესკოს წევრს, პროფესორ ნოდარ წიფვივაძეს. საუბარი შეეხო საქართველოს პორტების თემბტიკას. „გერბერას“ ხელმძღვანელებმა სტუმრებს გააცნეს ფოტის ახალი მერის ბატონ გონა კურდღელის გადაწყვეტილება დიდ კუნძულის უბანში 2018 წელს 3,5 მილიონიანი კეთილმოწყობის პროექტის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია ზღვის 2 კილომეტრიანი ბულვარის განაშენიანება და ვეტერანთა დასასვენებელი კლუბის მშენებლობა.

გამოსათხოვარი



ავტორი მატკავეს აღზრდილებს შორის არიან როგორც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვიქტორ კრატასიუკი, აგრეთვე საქართველოს, საბჭოთა კავშირის, საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებულები და პრიზიორები. ის გახლავთ 1965 წლის პელსინის ვეროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, 1967 წლის კომენაგენის რეგატის გამარჯვებული, 1971 წლის ხალხთა მე-5 სპარტაკიადის ჩემპიონი 2-ადგილიან ბაიდარებში ვიქტორ კრატასიუკთან ერთად და ამავე სპარტაკიადის ვერცხლის მედლის მფლობელი 4-ადგილიან ბაიდარებში. ის გახლავთ 1965-66 წლების საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი. ფოთელები ყოველთვის დიდ პატივს მიაგებენ დირსეული მამულიშვილისა და დიდი სპორტსმენის ხსოვნას.

რაზაე ორიენტირებული ქალაქი-სტრატეგიული პრიორიტეტები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალი მერის 100 დღე ინსტიტუტის ქალაქის მეხთან, ბატონ ბორა ხაჩელიანთან



ბაილა 100 დღე, რამ ფოთიდანაა ქალაქის თანად პირიან სრულიად ახალ-გაზრდა კახი და მისი პარტია მინდას. ეს დრო არაა საქართველოს პარტი-ბუნების, თანდას ნაწილობრივ გალა-საწყობად. მარაგა სტრატეგიული და პირადი ნაწილობრივ დაწინაურებალი. მთავარად ინტერესის გაზრდა გორა ქარაღალიანთან.

– გავიდა 100 დღე თქვენი მერობი-დან, რა საკადრო და სტრატეგიული ცვლილებები განიცადა მერობამ, რამ განაპირობა ახალი სამსახურების შექმნა და კიდევ რა ცვლილებები მოსალოდნელი?

შენდობის კვირა და მანამდე სა-ნამ განვლილი სამუშაო პერიოდის შეფასებაზე გადავიდეთ. მინდა პატივსაცემად შევხებო და მიტევება ვთხო-ვო ყველა იმ ფოთელს, ვისაც ოდნავ მაინც გული დაეწყვიტა ჩემი მუშაო-ბის შედეგად გასული 100 დღის გან-მავლობაში. აქვე მინდა ვთხოვო მათ გაითვალისწინონ, რომ სამ თვე, რა თქმა უნდა, ცოტა არ არის, მაგრამ არც თუ ისე ბევრია, იმისათვის რომ მრავალი საუკუნის ისტორიის მქონე ქალაქის ცხოვრებაში არდინალური ცვლილებები განახორციელოთ.

დაიხ, ჩვენ გარკვეული სტრატეგი-ული ცვლილებები და რეორგანი-ზაცია განვახორციელეთ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების და-კმაყოფილებით, ნაცვლად ორი მთა-დგომის შტატისა და 10 სამსახურისა, შევქმენით მთადგომის სამი შტატი და ცხრა სამსახური, შევქმენით ეკო-ნომიკური განვითარების და ტური-ზმის სამსახური, ფინანსური მონი-ტორინგის განყოფილებას დაემატა ისეთი პოზიციები და ფუნქციები, როგორცაა: შრომითი უსაფრთხოე-ბისა და სახანძრო წესების დაცვის ზედამხედველობა, ბუნებრივი რე-სურსების მართვა, ზედამხედველო-ბა ბუნებრივი რესურსების მართვა-ზე, წყალანობის სპეციალისტის პოზიცია და ასე შემდეგ. ძირითა-დად აღნიშნული პოზიციები საჯარო სივრცეში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მობილეთის წესით შე-თავაზებულ იქნა მერის სტრატეგი-ულ კურსებში დასაქმებული თანამშრომლებისთვის, რომელთა დიდი უმრავლესობა პატრიოტ, პრო-ფესიონალ ადამიანებს წარმოადგენს. სამწუხაროდ, რაც სპეციალობებში, გვაქვს საკადრო დეფიციტიც, ხში-რად ვერ ვაკმაყოფილებთ მაღალ სტანდარტებს, ამიტომაც თითოეულ ადამიანს ვაძლევთ შესაძლებლო-ბას გაიდრამავოს ცოდნა, დაეწროს ტრენინგებს, გაიარონ სხვადასხვა კურსები. ვინც ფხვს აუწყობს თანამე-დროული მოთხოვნებს, ჩვენ მზად ვართ თითოეულ მათგანთან გავაგრძელოთ თანამშრომლობა, წინააღმდეგ შემ-თხვევაში მათაც უნდა გავვიგონ, რომ ჩვენ თუ შესაბამისი რეაგირება არ გავაკეთებთ, ჩვენს ქალაქს და მის მცხოვრებლებს ზიანი მივაყენებთ. ახალი სამეურნეო წელი დაიწყო, სულ მალე გაზაფხული კარს მოგვადგება და სამწუხაროდ ზოგიერთი არაპრო-ფესიონალი კადრის გამო სასურველი ტემპით არ მიდის შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები, შეს-რულდულ სამუშაოებზე კონტროლი და ასე შემდეგ, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

– ადინიშნული ხარვეზების აღ-მოფხვრისკენ იქნება მიმართული ჩვენი ძალისხმევა და მომავალი ცვლილებები.

– ქალაქის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა. რა პრიორიტეტები გა-მოიკვეთა? თუმცა ქალაქისთვის ეს თხები არაა საქმარისი და რა რე-სურსებია მისი გაზრდისთვის?

არსებული ბიუჯეტი რა თქმა უნდა ძალიან მწირია, ქალაქის წინაშე არსებული პრობლემების და მიზნების გადასაჭრელად. აქაც თანმიმდევრუ-ლი მიდგომა გვმართებს. შესაბამისი კვალიფიციური კადრებით უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ დროს ორგანიზაცი-ებთან, ინვესტორებთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან, სხვადასხვა სა-მინისტროებთან. აქვე აღვნიშნავდი ამ კუთხით ჩვენი მათეორიკარი დეპუტა-ტის, პარლამენტარის, ბატონ ირაკლი ხახუბიას ნაყოფიერ მუშაობას. რო-გორც მოგახსენებთ 2018 წელს ჩვენს ქალაქში უნდა შესრულდეს 200 მლ ლარზე მეტი ღირებულების სამუ-შაოები-წყალანობის პროექტი-აფი-ნანსებს აზიის განვითარების ფონ-დი. პროექტის ღირებულებაა 89 943 800 ლარი, პროექტის შემსრულებელი კომპანია არის „TAHAL Group BV“.

– არსებული ბიუჯეტი რა თქმა უნდა ძალიან მწირია, ქალაქის წინაშე არსებული პრობლემების და მიზნების გადასაჭრელად.

– არსებული პრობლემების და მიზნების გადასაჭრელად. აქაც თანმიმდევრუ-ლი მიდგომა გვმართებს. შესაბამისი კვალიფიციური კადრებით უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ დროს ორგანიზაცი-ებთან, ინვესტორებთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან, სხვადასხვა სა-მინისტროებთან. აქვე აღვნიშნავდი ამ კუთხით ჩვენი მათეორიკარი დეპუტა-ტის, პარლამენტარის, ბატონ ირაკლი ხახუბიას ნაყოფიერ მუშაობას. რო-გორც მოგახსენებთ 2018 წელს ჩვენს ქალაქში უნდა შესრულდეს 200 მლ ლარზე მეტი ღირებულების სამუ-შაოები-წყალანობის პროექტი-აფი-ნანსებს აზიის განვითარების ფონ-დი. პროექტის ღირებულებაა 89 943 800 ლარი, პროექტის შემსრულებელი კომპანია არის „TAHAL Group BV“.

– წყალმარეგულირებელი კომპლექსის რეაბილიტაცია, ღირებულება 1 340 268 ლარი, შემსრულებელი ტენდერ-ში გამარჯვებული კომპანია „ქრისი-მედი“; საცურაო აუზის მშენებლობის რეკონსტრუქციის განვითარების ფონ-დი დაფინანსებს, მას ტენდერში გა-მარჯვებული „COBRA INSTALACIONES Y SERVICIOS, S.A. brsnch Georgia“, აა-შენებს და მასზე 14 500 136 ლარი დაინახრჯება. აშენდება ახალი შემო-სასვლელი ხიდი მდინარე რიონზე, ყველა აღნიშნულ პროექტზე, ჩვენი თანაქალაქელები დასაქმდებიან, რაც ხელს შეუწყობს სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

– ბიუჯეტის გაზრდის რამოდენიმე რე-სურსი არსებობს. ვფიქრობთ რომ ად-გილობრივ ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გაზრდის სულ ახლახანს მიღებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც ინდ. მეწარმეებისათვის დაუბეგრავითანხის ზღვრული ოდენო-ბაა 100 ათასიდან გაიზარდა 500 ათას ლარამდე, ხოლო გადასახადი 5 პროცენტიდან შემცირდა 1 პრო-ცენტამდე.

– პრიორიტეტები... რა თქმა უნდა გა-მოყოფილი სოციალურად შეჭირვებუ-ლების, ბავშვების, ასაკოვანი ადამიან-ების, ახალგაზრდების, განათლების, სპორტისა და კულტურის სფეროს წი-ნაშუ მდგარ პრობლემების გადაჭრას, თუმცა აღვნიშნავ, რომ ბიუჯეტის გაზრდის გარდა აუცილებელია, არ-სებული ბიუჯეტით, პრობლემების გადაჭრისას უფრო მეტი ყურადღება გადაჭრით სამართლიანობის პრინცი-პის დაცვას. გვეხმის, რომ დღევან-დელ დღეს ჩვენს ყოფაში დახმარება არსებისთვის არის ზედმეტი, მაგრამ უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთ-მეთ ამ თუ იმ სოციალურ პრობლე-მებზე ბენეფიციარების შერჩევისას დასაკმაყოფილებელ სტანდარტებს. იგივე ითქმის ბიუჯეტით შესასრუ-ლებელ ინფრასტრუქტურული სამუ-შაოების შერჩევის პრინციპზე და ასე შემდეგ.

– 2018 წლის ბიუჯეტი 15 მილიონ 800 ათასი ლარია. პრიორიტეტები კვლავ-ინდებურად სოციალური პროგრამები და ინფრასტრუქტურული პროექტებია. ფონის რეგულაციებიდან 4.5 მილიონი ლარის ღირებულების 5 პროექტი დაუ-ფინანსდა.

– ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, განხორციელდება მაღ-თაყვის სანაპირო ზოლის, მათ შორის, მისასვლელი გზის, რეაბილიტაცია, რაზეც რეგულაციებიდან 2,654,202 ლარი დაინახრჯება.

– ამავე ფონიდან 1,099,860 ლარით დაფინანსდება სტადიონის რეაბილი-ტაცია.

– ასევე, დაგეგმილია ცენტრალური ქუჩების ტრეტუარების კეთილმოწყო-ბა ფარნავაზ მეფის ქუჩაზე (სამე-გრელოს მოედნიდან რუსთაველის რკალამდე), რისთვისაც ცენტრალურ ბიუჯეტში 439,850 ლარია გათვა-ლისწინებული.

– ახალი ფაბრიკები, სადაც ათასობით ადამიანი უნდა დასაქმდეს?

– როგორც მოგახსენებთ ერთი მსხვილი საწარმო, აჭარატექსტი-ლი, სადაც 3000 ადამიანი უნდა და-საქმდეს და 15 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს უკვე შევიდა ექსპლუატაციაში. ამას-თანავე როგორც ცნობილია, ფოთის ნავსადგურში იგეგმება 100 მლ დოლა-რის ინვესტიციის განხორციელება და ახალი ტერმინალის აშენება, თავისუ-ფალ ეკონომიურ ზონაში პარტნიორთა ფონდის თანადაფინანსებით შემოვიდა ჩინური კომპანია CEFC, რომელმაც 150 მლ დოლარის ინვესტიცია უნდა განა-ხორციელოს.

– სულ მალე გაიხსნება საბავშო ბაღი დევენილა უბანში, სადაც ამ უბანში მცხოვრები დევენილი მოსახლეობა და-საქმდება.

– თავისუფალმა ეკონომიკურმა ზო-ნამ ვერ გაამართლა, არადა, სააკაშ-ვილის ხელისუფლებამ დუბი უწინას-წარმეტყველა ფოთს?

– ვფიქრობთ ჩინური კომპანია პარტ-ნიორთა ფონდთან ერთად შექმნეს აღნიშნული ტერიტორიის ეფექტურად ამუშავებას.

– რა კეთდება მცირე ბიზნესის გან-ვითარებისათვის, თუ არის გათვა-ლისწინებული შედეგათიანი სესხების გამოყოფა?

– პირველ რიგში ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება შეუწყობს ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებას.

– ჩვენი მხრიდან, მზად ვართ არ-სებული კანონმდებლობის, ქალაქის განვითარების გენგეგმის ფარგლებში ხელი შევუწყობთ ამ კუთხით დაინტე-რესებულ თითოეულ პიროვნებას. რაც შეეხება შედეგათიანი სესხებს, ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ ეტაპზე ადგილობრივ ბიუჯეტს ამის საშუალება არ გააჩნია, ცენტრალურ ბიუჯეტიდან კი მრავალი მსგავსი პროგრამა მოქმედებს.

– ინფრასტრუქტურული მოწყობების ქალაქში არის ერთ-ერთი კომპონენ-ტი ბიზნესის ხელშეწყობის. ჩვენ ამ კუთხით ყველაფერს ვაკეთებთ. ყველა პროექტი გათვლილია ბიზნესისათვის უკეთესი გარემოს შექმნაზე. წელს დაიწყო კუნძულის უბ-ნის სანაპირო ზოლის რეაბილიტა-ცია, სადაც მოეწყობა მცირე ტი-პის კომერციული ობიექტები და ეს წინადადება დარწმუნებული ვარ, მიმზიდველი იქნება მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

– რა კეთდება ქალაქში ახალგაზრ-დობის სწავლა-განათლების სრულყო-ფისათვის და მათი ადგილზე დასაქმე-ბის მიზნით? წინათ ფუნქციონირებდა საზღვაო სკოლა და ინსტიტუტი, დღეს რა არის ორიენტირი? რომელი დარ-გის განვითარება? როგორ მიდის პრო-ფესიული სწავლების საქმე, რაზეა ორიენტირებული?

– მინდა მოგახსენოთ რომ ჩვენს ქა-ლაქში ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიული სასწავლე-ბელი „ფაზისი“ ფუნქციონირებს. სულ ახლახანს, მისი უმსამდგველესო-ბა მუფევი გრიგოლის ინიციატივით, გაიხსნა ახალი ქართული უნივერსი-ტეტი, სადაც მსურველებს საშუალე-ბა აქვთ დაეუფლონ სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხებს.

– სულ ახლო მომავალში მერიაში და-გეგმილი გვაქვს სტაჟიორთა მიღების სამთავრობო პროგრამა განახორცი-ელოთ. ზოგადად, ახალგაზრდების დასაქმე-ბის კუთხით კი ვთხოვ თითოეულ ახალგაზრდას, და არა მარტო მათ, უფრო მეტი მოინდომონ, დაეუფლონ იმ სპეციალობებს, რომელიც დღეს დეფიციტური და მოთხოვნადია და დარწმუნებული ვარ ისინი აუცილე-ბლად იპოვიან ღირსეულ სამუშაოს.

– პროფესიული განათლება. რა თქმა უნდა ორიენტირებულია, დღევანდელ-ობასა და მოთხოვნადი პროფესი-ების სწავლებაზე, და ფოთის რეა-ლობაში ეს არის ნავსადგურთან და თევზის გადამამუშავებასთან დაკავში-რებული პროფესიები.

– ახალი ნავსადგურის მშენებლო-ბა, პროექტებს და პროცენტაციებს არ გაცვლდა, კორპორაცია „აი ფი-ემ“ ტერმინალ ფოთს და ფოთთან ახალი ტერმინალის კონსტრუქცი-თ შორის გაფორმდა ხელშეკრულე-ბა ნაყარი ტვირთების ტერმინალების

– მშენებლობაზე, ექნება მთავრობის მხარდაჭერა?

– დარწმუნებული ვარ რომ ეს საკმა-ოდ სერიოზული პროექტია, რომელ-საც საკმაოდ სერიოზული და მოცუ-ლობითი მოსამზადებელი სამუშაოები სჭირდება, როგორც პროექტირების, ასევე მშენებლობის კუთხით, რა-საც გარკვეული დრო სჭირდება. ვი-სურვებდი, რომ მალე მათ მიერ გა-დადგმული პრაქტიკული ნაბიჯების მომსწრეც გაგმხადარიყავით. რაც შე-ეხება მთავრობის მხარდაჭერას, რა თქმა უნდა მთავრობის მხარდაჭერა ყველა კეთილ წამოწყებას ექნება.

– რა კეთდება ადგილობრივი რე-სურსების გამოყენების თვალსაზრი-სით, შავი ზღვის ქაფში გადამუ-შავების, ტორფმოპოვებისა და სხვა თვალსაზრისით?

– ჩვენი აზრით მისასალმებელი ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში აღორძინდა და მკვეთრად გაიზარდა თევზის ინდუსტრიული მრეწველო-ბა, რამაც დადებითი შედეგი იქონია ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებაზე. ცნობისათვის აღვნიშნავ, რომ ქაფ-შიის მრეწველობიდან მიღებული შე-მოსავლები, ფოთის ნავსადგურიდან მიღებულ შემოსავლებს უტოლდება. თუმცა შესაძლებლობები ამ დარგის განვითარების და სრულყოფის კიდევ ბევრია და დარწმუნებული ვარ რომ მრეწველობის ეს დარგი მნიშვნელო-ვან როლს ითამაშებს ჩვენი ქალაქის განვითარების საქმეში.

– ცალკე საუბრის თემაა დევენი-ლები და მათი პრობლემები, განსა-კუთრებით ბინებით უზრუნველყოფა, დასაქმება. ახლახან ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ბაღი, მალთაყვის რა-იონში კიდევ რა იგეგმება ამ ადამიან-ების დასახმარებლად?

– როგორც ვითხარით, ფოთის მუნი-ციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამ-სახურს დაემატა დევენილთა განყო-ფილება, რაც ხელს შეუწყობს მათ პრობლემებზე სწრაფ რეაგირებას, და დროულად გადაწყვეტას.

– აქვე დავსვამ და მადლობას გადა-ვუხდი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაად-გილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, იმ დიდი ყურადღებისთვის, რომელსაც ისინი იჩენენ ჩვენ ქალაქში მცხოვრები დევე-ნილების და ზოგადად ჩვენი ქალაქის მიმართ.

– გაჭიანურდა წყალსადენი -კანა-ლიზაციის მშენებლობა, ეტყობა ყბა-დადებული ტენდერები არ ამართლებს, რაღაც შესაცვლელია, რა კეთდება ამ მიმართულებით?

– წყალსაკანალიზაციო სისტემის რეა-ბილიტაციის პროექტი 2016 წელს ჩაი-შალა მეტენდერეს მიერ არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების გამო. ორიოდე თვის წინ, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა, გიორგი კო-ბერიძემ და პოლანდიური კომპანია „TAHAL Group BV“-ის საერთაშორი-სო განყოფილების აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა, ალონ იენენსმა, ასევე საოპერაციო დირექტორმა, ირის იანციკმა ხელი მოაწერეს ხელშეკრუ-ლებას ქალაქ ფოთში წყალარინების სისტემის მშენებლობის შესახებ.

– პროექტის ფარგლებში მოეწყობა თა-ნამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების ქსელი და სატუმბო სადგურები, რაც ხელს შეუწყობს სა-ნიტარობო პირობების გაუმჯობესებას და შეამცირებს გარემოზე მავნე ზე-მოქმედებას. სამშენებლო სამუშაოებს აზიის განვითარების ბანკი (ADB) 89 943 800.22 ლარით დააფინანსებს.


– პროექტის ფარგლებში 150-ზე მეტი ადგილობრივი დასაქმდება. სამუშაოე-ბის დასრულება 2020 წელს იგეგმება, რის შემდეგაც ქალაქ ფოთს სრუ-ლიად ახალი, თანამედროვე სტანდარ-ტების შესაბამისი წყალარინების ინ-ფრასტრუქტურა ექნება.

– ბატონო გონა თქვენ ამომრჩეველებს დაპირდით, რომ დაიწყებოდა მე-7 კილომეტრზე ორიონის წყალგამყოფის რეაბილიტა-ცია, ქალაქის შემოსასვლელი ხიდის მშენებლობა?

– დიახ ეს იყო ჩვენი გუნდის დაპი-რება და ჩვენ ამ დაპირებას ვასრუ-ლებთ კიდევ. გადადგმულია ქმედითი

რახაეა ორიენტირებული ქალაქი-სტრატეგიული პრიორიტეტები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალი მერიის 100 დღე ინსტიტუციონალური მუშაობის, ბატონ ბოჩა ხუცლიძისათვის

დასაწყისი მ-2-მ-3-ზე



ნაბიჯები. უფრო მეტიც ამ დღეებში გამოცდილება ტენდერში გამარჯვებულ კომპანია, რომელიც პირობების რეაბილიტაციას ჩაატარებს. პროექტის ფარგლებში ახალი შეიქმნება ამორტიზებული ელექტროტექნიკა, აღდგება კაშხლისა და ფარების მექანიკური ნაწილები, ასევე, გარემონტდება წყალგამყოფი კაშხლის კონსტრუქცია და მისი დამხმარე ნაგებობები. პროექტი ითვალისწინებს ყველა საჭირო სამუშაოს გაწევას, რათა მოსალოდნელი წყალდიდობის შემთხვევაში ნაგებობა მზად იყოს წყლის მაქსიმალური მოცულობის გასატარებლად.

მდინარე რიონის სარეგულაციო პირობების რეაბილიტაციისთვის 1 367 815-მდე ლარი დაიხარჯება.

ფოთს აწუხებს პრობლემები, რომელსაც მარადიულს უწოდებენ, ესაა ზღვის სანაპიროს გამაგვრება, იტბორება ქალაქი, კედება პალეოსტომი და კაპარტინა.

მდინარე კაპარტინის გაწმენდასთან დაკავშირებით ჩვენ ვამუშავებთ მრავალ პროექტს,მათ შორის წლების წინ საპროექტო ორგანიზაცია „ფოთი-ქალაქპროექტის“ მიერ შედგენილ პროექტს. პარალელურად ვმუშაობთ დონორ ორგანიზაციებთან საჭირო ფინანსების მოსალოდნელად.

პალეოსტომის ტბის გამტკიცებასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, ვამუშავებთ არქიტექტორ,ჩვენს ქალაქის დეპუტატს ილია აბაშიანი,ბატონ ჯემალ გიგინეიშვილის მიერ წამოყენებულ ინიციატივას მდინარე რიონის პალეოსტომის ტბასთან შემავრთბელი ბუნებრივი არხის აღდგენაზე.

მდინარე რიონზე წყალმარეგულირებელი კომპლექსის რეაბილიტაცია, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება წყლის ნაკადით ქალაქში შემომავალი შტოს მაქსიმალური დატვირთვა,რაც ვფიქრობთ რომ ხელს შეუწყობს ნაპირგამაგრებით პროცესებს კუნძულის უბნის სანაპირო ზოლზე კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის სამუშაოებში, რომელიც წელს უნდა დაიწყოს რეგიონალური განვითარების ფონდთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, და რომელზეც 3 მლნ ლარი დაიხარჯება, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული გარკვეული სამუშაოები ნაპირგამაგრებითი კუთხითაც.

საკითხის მასშტაბურად გადაწყვეტის მიზნით კი გავაგრძელებთ მუშაობას სხვადასხვა შესაბამის ორგანიზაციებში.

თქვენი მერობის პირველ დღეებში შეჭირვებულთა სასაღილო მონიხსნა, რა მდგომარეობაა დღეს, ადამიანებს უჭირთ ცხოვრება, როგორ ეხმარებით მათ, მრავალშვილიანები ცოტა გევაგს, რა კეთდება ამ მიმართულებით და საერთოდ რას გეგმავთ სოციალურად დაუცველთა და უმუშევართა დასახმარებლად?

შეიქმნა ახალი ა(ა)იპ სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, რომლის მიერ კონსტრუირდება შეჭირვებულთა სასაღილო ფუნქციონირება. გაუმჯობესდა კვება. უახლოეს მომავალში დაიწყება სასაღილოს დარბაზის კაპიტალური რემონტი და შეიქმნება ბენეფიციარების მომსახურების უკეთესი პირობები.

იცით აგრეთვე, რომ ფოთის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარებები ახალშობილთა და მრავალშვილიან ოჯახებზე, სამ და და მეტშვილიანებზე ყოველთვიურად, ხოლო ხუთ და მეტშვილიან ოჯახებს წელიწადში ერთჯერად 2000 ლარი გადაეცემა.

ფოთს ერთ დროს რეგიონში საუბრეთესო საავადმყოფო კომპლექსი ჰქონდა, დღეს ავადმყოფებს უხდებათ ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში სიარული, ხომ არ გიფიქრიათ მუნიციპალურ საავადმყოფოს მშენებლობაზე?

ამ კუთხითაც ქალაქში რამოდენიმე სასიკეთო სიხსნე გვაქვს-რამოდენიმე კერძო,ამ ბიზნესში გა-

მოცდილი ორგანიზაცია გეგმავს თანამედროვე სამედიცინო დაწესებულების აშენებას,რაც დაარეგულირებს მოთხოვნებს სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებით.

რა კეთდება კულტურული ცხოვრების გამოცდებისათვის, წლების განმავლობაში არაფერი გაკეთებულა ახალი კერების ასაშენებლად, ერთადერთი თეატრი იყო და ისიც თავზე გვევრება, ვინ აგებს პასუხს და რა კეთდება ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად?

თეატრში არსებული ვითარების შესწავლას და არსებულ ნაკლოვანებების რაც შეიძლება სწრაფად გამოსწორების გზების ძებნას ჩვენთან ერთად აქტიურად ახორციელებს კულტურისა და სპორტის,ინფრასტრუქტურის სამინისტროები. მათ მოაქვნიან სპეციალისტები. შესწავლილ იქნა მდგომარეობა და ველოდებით ექსპერტიზის შედეგებს.

ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკი დღემდე ვერ გახდა ახალგაზრდობის გართობისა და დასვენების კერა. თქვენი დაპირებით ფოთელებს რომ აშენებდნენ თანამედროვე ამფითეატრი საერთაშორისო ფესტივალების ჩასატარებლად.

წლებადღე ბიუჯეტში საპროექტო სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია 150 000 ლარი. ამ ეტაპზე ჩვენ ვახორციელებთ პროექტების სატენდერო შესყიდვებს ისეთ სამუშაოებზე, როგორცაა მრავალსართულიანი ბინების გადახურვა,კუნძულის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა, სათონების სახლის კაპიტალურ რემონტი, დიდების მემორიალის რესტავრაცია და სხვა. იგეგმება ასევე ისეთი პრიორიტეტული პროექტების შესყიდვა, როგორცაა ქუჩების საგზაო ნიშნების მოწყობა, მრავალსართულიანი ბინების ეზოების კეთილმოწყობა, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების შემდეგ ჩვენ აუცილებლად გამოვანახებთ სასარგებლო და გზებს, რათა კულტურისა და დასვენების პარკის ხიბლი და პოტენციალი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ჩვენი თანაქალაქელების საკეთილდღეოდ.

როდის დამთავრდება ნიკოლაძის კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები, როდის ამაშენებენ ნიკოლაძის საათი, კოშკი.

წელს ქალაქში იგეგმება აღინიშნოს ნიკოლაძის დღესასწაული. მით უფრო რომ ნიკოლაძის დაბადებიდან 175 და ქალაქის თვითმმართველობის 200 წელი შესრულდება. აღნიშნულ დღესასწაულზე მოხდება კოშკის საზეიმო გახსნაც.

ფოთი თავის უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტით, ზღვით, ტბით, მდინარით, კოლხეთის ეროვნული პარკით, თავისი დიდი ისტორიით ტურისტებისთვის მიზიდველი გახდება, თუმცა, არა გვაქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურა: სასტუმრო, პლაჟი და ა.შ.

მალთაყვის სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია გრძელდება, ზემოთ აღნიშნული ინვესტიციების განხორციელება კი აუცილებლად მოიტანს როგორც სასტუმროების მშენებლობის,ასევე სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების აუცილებლობას და შესაძლებლობას.

როგორ მიმდინარებს მალთაყვის ზღვის ზოლის განაშენიანება, წელს რა გაკეთდება, რა თანხები გამოყოფილი, ასევე იგეგმება წყალსათხილა მურს ინფრასტრუქტურის განახლება?

მალთაყვის სანაპირო ზოლზე მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელება, 800 მეტრით გაიზარდება ბულვარის სიგრძე, მოეწყობა მიწისქვეშა კომუნიკაციები, საშხაპეები, საფეხმავლო ხიდი, გარე განათება, მცირე არქიტექტურული ფორმები, საყვავილეები, რაზეც დაიხარჯება 2 მილიონ 600 ათასი ლარი.

დიდ ყურადღებას მოითხოვს მატე-რიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ბაღებსა და სკოლებში. რა კეთდება ამ მიმართულებით?

წელს მოხდება საბავშვო ბაღების გაზიფიცირება, რისთვისაც 200 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნება გამოყოფილი. გარდა ამისა, რამოდენიმე ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილებში ხორციელდება მიმდინარე რემონტები.საერთო ჯამში

უკიდური ჩემს ჰატა 2 წლის შვილიშვილს, ელენეს დაბადებისდღესთან დაკავშირებით



ია, ია ლაგიკტიყ იბმის ძეძუთ ნაპკუტი, ვატსველაფეში მღგიწყვიცე ცის ვამადნს აკრული, გაიზატრე, გაახატე მთელი დღეღ-მამული, შინ პატატა სადცტებავ, სილამაჯე ზღაპრული. გავსა ვანო ნარმანი 2018 24 თებერვალი

წელს ბაღების დაფინანსება სარშან-დელ წელთან შედარებით 360 000 ლარით გაიზარდა.

პედაგოგების ხელფასის მომატებაზე რას იტყვით, მათ ყველანაირად უნდა შეუწყობთ ხელი, რათა აღზარდონ მომავალი თაობა, ნიჭით, რწმენითა და პუმიანშით გამორჩეული, არადა სკოლებში უმძიმესი ვითარებაა მოსწავლეთა მხოლოდ დასჯა არაა საკმარისი, მათი მშობელთა უმრავლესობა საზღვარგარეთაა წასული სამუშაოდ.

გეთანხმებით და მიმაჩნია რომ პედაგოგობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო დასაფასებელი პროფესიაა,მე პედაგოგების ოჯახში ვარ გაზრდილი და გარკვეული პერიოდი მეც ვმუშაობდი პედაგოგად, მყავს გამორჩეული პედაგოგები,რომლებმაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში.ამიტომაც განსაკუთრებით მიყვარს ეს პროფესია. დარწმუნებული ვარ ჩვენი მთავრობა სისტემატურად, თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებს, რათა პედაგოგების შრომა ღირსეულად და თანამედროვე რეალობის შესაბამისად იქნეს დაფასებული.

ხომ არ იგეგმება ბაღის გაშენება და მათ ხელმძღვანელთა ატესტაცია, ასევე - სკოლის დირექტორების. წინა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ ვატივების პოლიტიკური მიზანი ჰქონდა - „ურჩების“ თავიდან მოცილება, არადა, ბევრი პროფესიონალი და გამორჩეული პიროვნება დაიწუნეს.

არათუ საბავშვო ბაღებში, არამედ არც ერთ მუნიციპალური დაქვემდებარების ორგანიზაციაში ჩვენ არ ვბეჭდავთ საქმიანობისათვის და შესაბამისად ჩვენი ქალაქისათვის საზიანო ქმედებებს

ფოთი ფეხბურთის აკადემია ამ მდგომარეობაში არ უნდა იყოს და ესაა ამ ტენდერების შედეგი. როდის ექნება ქალაქის თანამედროვე ფეხბურთის სტადიონი. ფეხბურთი მხოლოდ სპორტი არაა, იგი აერთიანებს ადამიანებს და ქალაქის პრესტიჟის საქმეა.

ახალი სტადიონის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია, მას სამშენებლო კომპანია „ელო ბურჯი“ ახორციელებს. პროექტის ღირებულება 1 863 000 ლარს შეადგენს.

ტრიბუნების მშენებლობა დასრულებულია. მიმდინარეობს, სტადიონის შიდა და გარე კომუნიკაციებით უზრუნველყოფა, ეწყობა თანამედროვე სტადიონის გასახველები, საშხაპეები, ლოჯა, ოთახები კომენტარებისათვის, ავტოსადგომი. მოას-ფილტვება სტადიონის მისაღობებში. ფოთის სტადიონი 6000 მაყურებელზე გათვლილი.

რაც შეეხება სტადიონის მწვანე საფარი უზრუნველყოფის სამუშაოებს, მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დააფინანსებს.

მარტში ქალაქის ვეროპული სტადიონის შესაბამისი სტადიონი ექნება. რაც შეეხება უშუალოდ ფეხბურთის გუნდს და ფეხბურთელთა შემადგენლობას-გუნდში შეიცვალა მთავარი მწვრთნელი, დაემატა რამოდენიმე გა-მოცდილი და პერსპექტიული ფეხბურთელი.გაიარეს შეკრება ბათუმში, ამჟამად თურქეთში იმყოფებიან. მინ-დაა წარმატებები ვუსურვო მათ ახალ სეზონში.

ჩვენს ქალაქში ოლიმპიური ჩემპიონები, ასევე სსრკ და ევროპის ჩემპიონები გაიზარდნენ, დღეს სანიხოს-ნო ბაზა სავალდებო მდგომარეობაშია, საცხენოსნო სპორტიც ერთ დროს გა-

მოირჩეოდა ქვეყნის მასშტაბით.

ეს ჩვენი ქალაქისათვის ნამდვილად სერიოზული პრობლემაა. ვთხოვთ სწორად გამოვთ-პრობლემა ასევე ბიზნესის კუთხითაც და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო ჩვენ ვკარგავთ სოლიდურ შემოსავლებს.

ჩვენს ქალაქს გააჩნია უზარმაზარი ტრადიციები არა მარტო ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების აღზრდაში, არამედ საერთაშორისო დონის სპორტების გამართვაში, რაც თავისთავად სწორი მენეჯმენტის პირობებში შემოსავლის წყაროა. სულ რამოდენიმე დღის წინ, ინფრასტრუქტურის სამინისტროში სამუშაო შეხვედრაზე სანიხოსნო ბაზის მშენებლობის აუცილებლობის საკითხი დააყენა გუბერნატორმა ბ-ნმა ლევან შინამ. ვფიქრობ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.

როდის გაშენდება საცურაო აუზი, რომელიც ოლიმპიურ სტადიონებს დააკმაყოფილებს? ასევე სპორტკომპლექსი, ტენისის კორტები?

რაგბის სტადიონის მიმდებარედ, იცით შენდება საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი,რომელიც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდება.

პროექტის ღირებულება 14 500 136 ლარია. ტენდერში გაიმარჯვა კომპანია „COBRA INSTALACIONES YSERVICIOS, S.A. branch Georgia“, რომელმაც 450 დღის ვადაში უნდა ჩააბაროს აღნიშნული კომპლექსები. აუზის და ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობით შეიქმნება თანამედროვე სტადიონების სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც ხელისაწვედომი იქნება ყოველთვის და ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

მოსახლეობიდან მრავალი თხოვნა შემოდის ასევე ტენისის კორტების მშენებლობაზე.ჩვენ შევეცდებით საზოგადოების ფართო ჩართულობით შევარჩიოთ კორტებისათვის საუკეთესო ადგილი და გამოვანახოთ სახსრები მისი მშენებლობისთვის.


და ბოლოს, როგორი ურთიერთობა ყალიბდება საკრებულოსთან, წინათ წინა პლანზე იყო პარტიული ინტერესები, არადა ქალაქი ხომ ერთია თავისი სატკივარითა და საწუნარით, სიხარულითა და სილაღით, იგი სავსეა სიხარულით, არის ასეთი განწყობა ხელისუფლების ორივე რგოლში?

მიუხედავად იმისა, რომ არსებული მოწყვეის საკრებულო გამორჩევა პოლიტიკური პარტიების სიმრავლის კუთხით,ვფიქრობ რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობა, ქალაქის საკეთილდღეოდ ნაყოფიერი იქნება. საკრებულოში, ჩვენს პარტიას, ქართულ ოცნებას ყავს პროფესიონალი და პატიოსანი ადამიანებით დაკომპლექტი-რებული, მყარი უმრავლესობა, რომლებიც არასდროს დააყენებენ პირად ინტერესებს ქალაქის და ქვეყნის ინტერესებზე წინ. ურთიერთობა კი საქმიანი და სამუშაოა, როგორც ამბობენ ჭეშმარიტება მსჯელობაში იბადება და ჩვენც ხშირად ვმჯავლობთ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენთვის ყოველთვის უპირველესი ქალაქის ინტერესებია და ღვთის წყალობით პრინციპულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა ვერ არ დაფიქსირებულა.

გმადლობთ ინტერვიუსთვის გისურვებთ წარმატებებს ყველა პარამეტრით.

3. ნარმანი

გზა ჯვარსმისა და გარდაუვალი აღგზომისა
„ვინ რა კარგი საჩინო რა ავად მივიჩნიესო“
ზვიად გამსახ ურდიას დემონიზაციის
უკანასკნელი დღეები
მხატვარი ფიციის „ნიბუჯა“ ჰეიმიჩა ფოთში




მსოფლიოში აღიარებულმა რეჟისორმა ბატონმა გიორგი ოვაშიძემ თავის ფილმის „გაღმა ნაპირის“ პრემიერა ფოთში მოაწყო, რომელშიც ბევრი ქვეყანა მოიარა, ამასწინათ კი ფოთის კულტურის სახლში მისი ახალი ფილმის „ნიბუჯა“ პრემიერა გაიმართა. ფილმის შემოქმედებით კოლექტივთან შეხვედრის საღამო გახსნა ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ფარაშვილმა**, მან ისაუბრა რეჟისორის ახალ არჩევანზე, იმ დიდ ტკივილზე, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს თან ახლდა. საღამოზე თბილი მოგონებებით გამოვიდა ცნობილი მწერალი, აფხაზეთის ტრაგედიის მონაწილე, სამშობლოდან დევნილი, საქართველოს კულტურის მრჩეველი ბატონი **გურამ რიჭიკაძე**.

უსიტყვოდ ტრაგიკული სახითა და გამომეტყველებით არის გადმოცემული. პრეზიდენტის ცხოვრების იდუმალებით მოცული უკანასკნელი დღეები ბევრ კითხვას ბადებს, თუმცა პრეზიდენტს მანამდეც ესროლეს, ესროლეს სამშობლოს, მის თავისუფლებას, ესროლეს ყველაფერს, ესროლეს - ქართულ გენს, ისტორიას. ენას, მამულს, სარწმუნოებას. საოცარია ჩვენი „ერთგულეობა“, ერთხმად არჩეული პრეზიდენტი ერთხმად მივატოვეთ და გავწირეთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ჯვარცმული კაცი. მთელი ეს გზა, რომელიც ფილმშია გადმოცემული შემზარავი და შემადრწმუნებელია. ნუთუ ამას გაუძლებდა დედაქალაქში გაზრდილი დიდი ინტელიგენტი-გაუთავებელი გადაადგილება თოვლში, წვიმაში, ჭაობში, ტყვიების კივილისა და მუდმივი შიშის თანხლებით. ფილმი შესხენებაა ჩვენს მუდმივ სატკივარზე, სამშობლოს სიყვარულისთვის ჩვენგან განწირულ პიროვნებაზე. ზვიად გამსახურდიას განდევნით განდევნეთ სამშობლო და შედეგებსაც დღეს ვიძიებთ. არსენას არ იყოს... „ან ნაბრევიდ დავბადებულვარ, ან ძალიან დამიგვიანიაო“.

ტყვია გავარდა... სავარაუდოდ პრეზიდენტისგან... „და მე ავტორი ვიცი მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“.

ზ. ნარაძე

ბამოსათხოვნი



იუბილეებისა და ღირსშესანიშნავი თარიღების მოლოცვას ვაკირებდით თქვენთვის - მეფის კარის კოლხი აზნაური გეგენავების ღირსეული შთამომავლისთვის, რამეთუ ცხოვრების დიდი გზა განვლეთ სახელიანად და კაცურად - 19 ივლისს 82 წლის გახდებოდით!

ვაგლახ, რომ გამოსათხოვარ სიტყვებს გიწერთ, არადა დრმად ვიყავით დარწმუნებული თქვენს სახელოვანი დედის-ქალბატონი თამარ მიქელის ასული ჩაგანავა-გეგენავას კვალბაზე თითქმის საუკუნეს იცოცხლებდით!

მძიმე და შფოთით სავსე ეპოქაში მივიწიეთ ბავშვობამ, მამავ ბატონო! მხოლოდ 5 წლის იყავით ომისა და გლოვის ზარმა რომ შემოიპირა ამ ქვეყნად და თქვენი მამა-ისაკი ივანეს-ძე გეგენავა ომში გაიწვიეს. ბავშვობიდან ვერ აგვეხსნა ფენომენი, თუ როგორ გიპატრონათ, ზრუნვა და გარჯა არ დაგაკლოთ უმამოდ დარჩენილ შვიდ შვილს თქვენმა მშობელმა დედამ. მხოლოდ 1947 წელს დაბრუნდა ომიდან ისაკი ბაბუა და ერთი წლისთავზე მოევიდნა ქვეყანას თქვენი მერვე დედამიშვილი - ბოგდანი ისაკის-ძე, დღეს რომ თქვენი დების, თქვენი ძმების სახელით ეულად დგას თქვენს სახელსთან თვალცრემლიანი, სამძიმარს დებულობს და ჩვენ გვანუგებებს!

ზვიად ისაკის-ძე გეგენავა
მშვიდობით, მამავ ბატონო!

„ვიჩ ბაასინაბ ხახბ ყანსა, ხას ჯი ჯადეის ჩხაჟიჩა“
გურამ ფირსხალავა-კაი ყმა



მთელ საქართველოს დააკლდა გურამ ფირსხალავა, როგორც კარგი ყმა, და როგორც კარგი მსახიობი, მეგობარი და ახლობელი, დიდი მოქალაქის, ნამდვილად სახალხო, გენიალური, ამადლებული და მშვენიერი, ყოველი მისი როლი მსახიობის ნიჭის იდენტური იყო, იმდენად მახლობელი რომ ძნელი იყო საზღვრის გავლება როლსა და ცხოვრებას შორის, უშუალო და დამაჯერებელი, მას დიდი სიყვარული ასაზრდოებდა, სიამაყე და ღირსება ასხივოსნებდა სიცოცხლის ბოლომდე.

ის იყო კაცი, რომელსაც არ ასვენებდა ქვეყნის სატკივარი და განსაკუთრებით ბოლო წლებში

დაამახსოვრა თავი ქართველობას-სიმართლისათვის ბრძოლაში თავგამოდებით, სამშობლოს სამსახური იყო მისთვის უპირველესი და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა, წუხდა, რომ პატრიოტობა გახდა ვივინდარების თავშესაფარი, დიდი მსახიობი თავის იუბილეზე ვერ გაშლის მხრებს და ვერ დიქუხებს სადღეგრძელოთი, კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღლებელი, ბატონო გურამ არ გახვეწებს ალბათ ჩვენთან რომ არახარ,

„ილაღს ვიყავ ბიჭებო, მზე წითლად ამოდოდა, მე იქ რა გამაჩენებდა, თქვენი ხმა არ მამდიოდა!“

შენი მზე ჩაქრა და მაინც ანათებ, ისევ მოდისარ, მაშ გაუმარჯოს სიკვდილიაღ არ დანიწყვებს!

ქრისტეან კაცს რწმენა ზეცისკენ ეწევა, ეს არის გზა მარადიულობისაკენ.

იუბილეს გილოცავთ ბატონო გურამ.

მეუღლე-ლენა არჩაია, შვილები- პაატა, დავითი, დიმიტრი; შვილიშვილები - ნანა, ელენე, თეკლე, ვაჟა, ვახტანგი, გიორგი; შვილთაშვილები- ელენე, ანაბელი, გაბრიელ გეგენავები; ძმა- ბოგდანი, რძლები - მერი სამინავა, ლეონა ჯღამაია, ინგა გვასალია, მაია კილასონია, მაია დემეტრაშვილი, თონა ჯინჭარაძე; სძძე- ნოდარ ჩოჩია; დისშვილები - დანგული ლაგვილავა, ნონა, ნაირა ბოკუჩავები, ლეილა, დალი, ბუთხუზი, თემური კვიციანი, მისი შვილები - ნატრული, რუსუდანი, თამილა, თამარი, ინგა, რუსლანი, ბადრი, ზაზა, გონა, გიორგი გეგენავები ოჯახებში, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, მეზობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 82 წლის ასაკში გარდაიცვალა

ზვიად ისაკის-ძე გეგენავა

პანაშვიდი 20,21 თებერვალს, დაკრძალვა - ხუთშაბათს 22 თებერვალს ნინოშვილის უბნის სასაფლაოზე, გამოსვენება 15:00 საათზე ქ.ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან.

ფოთის ტერმინალი-ახალი შესაქლებლობანი საქართველოს სატრანსპორტო ღირებულები



ამ დღეებში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორში, კონკრეტულად სატრანსპორტო დარგში. 12 იანვარს თბილისში სასტუმრო „ქორთიარდ-მერიტში“ კორპორაცია „ეი-ფი-ემ ტერმინალს ფოთს“ (APM Terminals Poti) და ფოთის ახალი ტერმინალების კონსორციუმს (PNTC) შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგებობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელებას ახალი ნაყარი

ტერმინალის ტერმინალის მშენებლობაში. ტერმინალს წლიურად შეეძლება 1,5 მილიონი ტონა მშრალი ნაყარი ტერმინალის გადამუშავება და ახალ სავაჭრო შესაძლებლობებს შესძენს საქართველოს სატრანსპორტო დერეფანს. ახალი ტერმინალის აშენება განიხილება „ეი-ფი-ემ ტერმინალს“ ფოთის კუთვნილ მიწაზე და მის ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

„ეი-ფი-ემ ტერმინალს ფოთს“ (APM Terminals Poti) აქვს შესაძლებლობა გააფართოვოს ფოთის პორტი ჩრდილოეთის მიმართულებით „ჩრდილო ტერმინალის“ ფარგლებში, რომელიც მოიცავს ახალ მოლოს, მშრალი ნაყარი ტერმინალის საერთაშორისო სტანდარტების ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობას. განვიტარებთ და ექსპლუატაციას. შემდგომ ეტაპზე ფოთის ახალი ტერმინალების კონსორციუმის

(PNTC) ჩამოაყალიბებს რა ექსპერტთა ჯგუფს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შექმნის, განავითარებს და მართავს მშრალი ნაყარი ტერმინალის ტერმინალებს, დაგეგმავს შესაბამის ინფრასტრუქტურას და სათანადო ნაგებობებს. მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ საერთაშორისო სატერმინალის გადამამუშავებელი დაინტერესებული ბიზნესმენების ჯგუფი უცხოეთიდან, კომერციული ბანკების, მთავრობის და ფოთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

როგორც ფოთის ახალი ტერმინალის კონსორციუმის (PNTC) თავმჯდომარემ ბატონმა თამაზ ჩხიკვიშვილმა განაცხადა: „ეს არის მნიშვნელოვანი პროექტი, აშენდება ნაყარი ტერმინალის ღრმაწყველობის ტერმინალი ფოთში, რომელიც ახალ შესაძლებლობებს მისცემს საერთაშორისო გადაზიდვებს საქართველოს ისტორიულად საინტერესო სატრანსპორტო დერეფანში. ყველა საჭირო ფორმალის სახელმწიფო უწყებებისაგან, შეუფერხებელი, კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილი წესით, გავლის

და შესაბამისი ნებართვების მიღების შემთხვევაში ახალი ტერმინალი 2-3 წელიწადში უკვე პირველ გემს მიიღებს; ტერმინალის მშენებლობაზე და ოპერირებისას კონსორციუმში დაეყრდნობა ფოთის ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც ფასეული დინასტიური გამოცდილება დაუგროვდა პორტთან დაკავშირებულ პროფესიულ ჩვევებში“.

„ეი-ფი-ემ ტერმინალს ფოთს“ (APM Terminals Poti) დირექტორმა ბატონმა კლაუს პოლმ ლაურსენმა მნიშვნელოვანი უწოდა მემორანდუმის გაფორმების ფაქტს და აღნიშნა: „ეს არის ზუსტად ის, რისთვისაც ჩვენი ბიზნესია: შექმნას ახალი შესაძლებლობები, ავიღოთ რიგი საზოგადოებისთვის, ქ. ფოთისათვის, ესაა ახალი ინვესტიციები, ახალი განვითარება; მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოს, როგორც სატრანსპორტო ქვეყნის, იდეისადმი, ახალი სამუშაო ადგილები და ნაბიჯი მომავლისაკენ“.

ჩვენი რედაქცია მუდმივად დაინტერესდება ყველა იმ სიახლით, რომელიც ამ მნიშვნელოვან წამოწყებას და მის რეალიზებას დაუკავშირდება.

ინინი ფოთს და ქვეყანას ემსახურებოდა იაკობ კოდუას სსრკ-ში



ადამინი, რომელსაც უყვარდა ქ. ფოთი და ფოთელები, არ შეიძლება დავიწყებას მივცეს. იაკობ კოდუა დაიბადა 1928 წლის 1 იანვარს, ზუგდიდის რაიონის სოფ. ძველ აბასთუმანში. 1937 წელს გადავიდა საცხოვრებლად ქ. ფოთში და სწავლა გააგრძელა ქ. ფოთის რკინიგზის №22 საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლობდა ფოთის პიდროტექნიკის ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1948 წელს. 1950 წელს სწავლა გააგრძელა ქ. თბილისში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, პიდროტექნიკის მელორაციის საინჟინრო ფაკულტეტზე. აღნიშნული სასწავლებელი დაამთავრა 1955 წელს, მიენიჭა ინჟინერ-პიდროტექნიკოსის კვალიფიკაცია მელორაციის განხრით. 1955 წელს გაანაწილეს კოლხეთის და შრომის სისტემის საქსპლუტაციო სამმართველოში ქალაქ ფოთში პიდროტექნად, 1 წლის შემდეგ უფროს პიდროტექნად. 1957-1959 წელს ინიშნება სობის რაიონის ქვალის სამმშენებლო უბნის უფროსად. ტრესტ „კოლხიდმშენში“. 1959-1962 წწ. ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, (მთ. სპეციალისტი მელორაცია-პიდროტექნიკის დარგში).

1963-1967 წლებში დაინიშნა აბაშის რაიონის წყალთა მეურნეობის ახლად შექმნილ საქსპლუტაციო სამმართველოს უფროსად. 1969-1971 წწ. გადაიყვანეს „კოლხიდმშენში“ დასავლეთ საქართველოს წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობის მთავარ ინჟინრად ქ. ფოთში. 1971-1972 წწ. აწინაურებენ ტრესტ „კოლხიდმშენის“ საწარმოო ობიექტის მშენებლობის უფროსად. 1972 წ. ქ. ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოადგილედ, კომუნალური მეურნეობის უფროსად. 1972-1983 წწ. მუშაობდა პარტიის აბაშის რაიკომის მეორე მდივნად. იაკობ კოდუა იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-პიდროტექნიკი. სადაც კი მოღვაწეობდა ბატონი იაკობი კოდუა ხალხის დიდ ნობას და სიყვარულს იმსახურებდა, ზედმიწევნით თავაზიანი ადამიანი, ერის მოსიყვარულე. იგი ყოველთვის იდგა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრში, როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, დიდი პატივით და მოქალაქე. იაკობ კოდუა გარდაიცვალა ქ. თბილისში 2016 წლის თებერვალში. დაკრძალულია ქ. ფოთში, ნინოშილის სასაფლაოზე. ნათელში ამყოფოს მისი სული უფაღმა. ბატონ იაკობ კოდუას 2018 წლის 1 იანვარს შეუსრულდებოდა 90 წელი.

იური ბოკუჩავა

ავთომ გზიას სსრკ-ში

ბ-ზე რად გამწირა წუთისოფელმა, კ-აი დედა, დარდი ვერ მოვიშორე, მ-ამუნა, თეა, ნათია შეიღებო! ო-რა მწარეა თქვენთან სიშორე.



31 იანვარი-მიძიმე და სახარელი დღე გაგვიტენდა-65 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ავთომ გზია, არადა, 11 იანვარს დიდი ხარხეიმით ავღნიშნეთ მისი იუბილე, იგი იყო დიდებული ქართველი, რომელმაც სიყვარულით განვლო თავისი გზა სიყვარულით დიდებულ მეუღლესთან ქალბატონ ირმასთან ერთად. იგი იყო არაჩვეულებრივი, მოსიყვარულე მამა, რომელსაც ერთნაირად უყვარდა როგორც თავისი ქალიშვილები, ასევე შეძენილი სიძეები: ავთომ, გია და დათო. შვილიშვილები: მარი, ზურიკო და ლუკა. დები მადონა და რუსიკო. იგი ასევე დიდად პატივს სცემდა ნათესავებს, ახლობლებს, მეზობლებს და მეგობრებს. ბატონი ავთომ კეთილი და გუ-

ლისხმიერი იყო ყველას მიმართ, ყველას ეფერებოდა, ესყვარულეობდა, მას არავისთვის არ უწყენებოდა ალბათ, ამ ქვეყანაზე იგი ნამდვილი კოლორიტი იყო, გულში ჩასახუტებელი. ავთომ თავისი ცხოვრება კაცურად და დაუღალავი შრომით დაასრულა. ტკბილად იძინე ძმავ ავთომ, ჩვენს გულში მუდამ დაუვიწყარი იქნები. ვერ მივიხვდით თუ რა ტკივილი გაწუხებდა. ვერ მოვიარეთ, ამიტომაც წაგვართვა შენი თავი შენმა მშობლებმა-კატუშა და იაშამ. აწი სამუდამოდ დატკბი მშობლების ფერებით. ჩვენ კი ცრემლები და მოგონებები დაგვრჩენია. უფალო წმინდაო! ძეო დვთისაო! იესო ქრისტე! ნათელში გვიმყოფე ავთომ ბებიას სულად, ამინ! მშვიდობით ოჯახო, მე კოცნით გტოვებთ, რაც დამრჩა გულში ადარ მასვენებს, პირობა დადეთ, ნუ სტრიათ მწარედ. ცრემლები თქვენი ძლიერ მასველებს. კამელტ კაკუღია



რაისა და კაკო ჯაბელიები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გია და გვანცა გაბისონიების დედის იზო ფანცულაიას გარდაცვალების გამო და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

კაკო, ციალა, ველოდი, ლიანა ჯაბელიები დიდი მწუხარებით იუწყებიან დეიდაშვილის - საფინანსო დარგის დეაწმოსილი მუშაკის, ქალბატონ იზოლდა ტარასის ასული ფანცულაია-გაბისონიას გარდაცვალების გამო და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

სინანა სომაია - ჩხარტიშვილის სსრკ-ში

„ქალი გზირია ამ ქვეყანაზე, დედა კი მხოლოდ ერთადერთია“



მშობლები-ჩვენი ცოცხალი დემონები ტოვებენ ამქვეყნიურებას და ვალდებულებები მიაშურებენ მარადიულსა უფოლს, არადა, რადიდი განსახედა განვლილი გზის...

სიკვდილი მეფობს და გვახსენებს, რომ ადამიანები მარადიულები არ ვართ და ჩვენი ვალია გზის გაგრძელება, სიცოცხლის გაჩენა, დემონსაც ხომ ყავდა შვილი, დემონსაც ხომ ყავდა დედა. ახლა კედლიდან ორი სურათი იმზირება - დიმილი და სევდაც -, „სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა“. სიკვდილიც სევდაა, ოღონდ კაცად არყოფნის სევდა... სიცოცხლის ძაფი არ წყდება - შვილები, შვილიშვილები, იმედოვნეტიკური მემკვიდრეობის უკვდავებისა - აი, ჩვენც მოვედით, ნუ გეშინიათ, არ მიგატოვებთ ჩვენს საყვარელო მშობლებო...

ახალგაზრდობის ლამაზი, დაუვიწყარი წლები, სინანა სომაიას და ნოდარ ჩხარტიშვილის შესვენება-სიყვარულის ზეიმი, ჯვრისწერა, ოჯახის სათავეებთან-შვილები, როგორც დიდი ბედნიერება. მშობლის ამაგი მართლაც დაუვიწყარია და პატარებს უდარდელი ბავშვობა ჰქონდათ-ზღაპრები და ლეგენდები. შემდეგ სწავლა, შეიღების მოამზადება ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად, რა ბედნიერებაა, როცა ისინი აგრძელებენ ოჯახურ ტრადიციებს და ქალაქის საზოგადოებაში გამორჩეულ ადგილს იკავებენ და როგორც თავის დროზე გამორჩეული, დიდებული და სასახლო იყვნენ მათი მშობლები. მათი ქ. ფოთის საკრებულოს წევრია, ხოლო ზურაბი ქალაქის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსია. „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია დემონთადა“ - ეს სიტყვები ქალბატონ ცინანას ეკუთვნის, თავადაც სილამაზით განთქმულს ქალაქის მშვენიერს. მშობლები ამაგის გამო, ცხოვრებაც ლამაზი და მხიარული ჩანდა-„ვიდრე დედა მყავს არ დავბერდები“. წლებმა გადაიქროლეს წეროები-ვით შორეთისკენ და დროს არყოფნის ტკივილი მოყვა, ძნელია შეგუება მშობლის - სიცოცხლის გამჩენის არყოფნასთან, მაგრამ არ გტოვებს იმედი მარადიულ სამყაროსა და უფაღთან მიასვლელისა, ახალი სივრცეებით სხვა სამყაროსკენ მიიღებოდა მათი უკვდავი სულები, აქ კი რჩება საფლავი, როგორც ნიშანსვეტი, ირგვლივ

სიკვდილი მეფობს და გვახსენებს, რომ ადამიანები მარადიულები არ ვართ და ჩვენი ვალია გზის გაგრძელება, სიცოცხლის გაჩენა, დემონსაც ხომ ყავდა შვილი, დემონსაც ხომ ყავდა დედა. ახლა კედლიდან ორი სურათი იმზირება - დიმილი და სევდაც -, „სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა“. სიკვდილიც სევდაა, ოღონდ კაცად არყოფნის სევდა... სიცოცხლის ძაფი არ წყდება - შვილები, შვილიშვილები, იმედოვნეტიკური მემკვიდრეობის უკვდავებისა - აი, ჩვენც მოვედით, ნუ გეშინიათ, არ მიგატოვებთ ჩვენს საყვარელო მშობლებო... დიდი ოჯახის ისტორია ქალაქის ცხოვრების თანახმად იყო, მისი განუყოფელი ნაწილი, ბატონ ნოდარ ჩხარტიშვილს თაობები აღუზრდია, როგორც დიდებულ პედაგოგს, სკოლისა და საქართველოში აღიარებული პიდროტექნიკოსი, იმ დროისთვის მეტად აუცილებელი კადრების სამკვლელს ხელმძღვანელს, ის იყო ფოთელობის ეტალონი, მუდამ გამორჩეული, სტუმრიანი, კეთილი, სხვათა ჭირის მოზიარე, გამორჩეული კაცობითა და ღირსებით. აი, მისი ნამდვილი გაკვეთილები ცხოვრებისა, ის ყოველთვის იყო ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების თანამონაწილე, და ამაში დიდი იყო კარგი მეუღლის - ქალბატონ ცინანას მხარდაჭერის და თანადგომის წვლილი, როგორც ოჯახის ბურჯის, ძნელია განსვრება და შესვენდა დასასრულთან, როგორც ახალი გზის დასაწყისთან. გარდაცვალება ცოვითათვის არის სიკვდილი, თორემ განწმენდილთათვის სიცოცხლის დასაწყისია. მიდის დედა იმქვეყნად და იქაც მიიქვს შვილების დარდი. „სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ როცა კვდება, სამშობლოს განცდა საფლავებიდან იწყება“. „არ განიწილა დედის შემცველი, სიყვარული და დედა ერთია“. დემონთა ებარებოდეს მისი დიდებული სული. ნოდარ ჩხარტიშვილის მემორიალი.

გამოსათხოვარი სსრკ-ში



რა უცბად წახვედი ბატონო რომან, დამშვიდობებაც ვერ მოვასწარით, არადა, რამდენი საქმე დაგრჩა გასაკეთებელი, მაგრამ ისიც სათქმელია, ბოლო დროს სულ იმას რომ იბახოდო: „რისი გამკვეთებული ვარ მე, ჩემი გასაკეთებელი საქმარისად მაქვს გაკეთებული, აწი სხვა, უფრო სწორად ახალგაზრდებმა გააკეთებინა. ჩემი სიცოცხლე, ყოველი დღე დემონთის ნაჩუქარიო“ და შეწყდა სიცოცხლე.

სამსახურის მეგობრები გავიწყდებოდა, პურმარისის დიდოსტატი იყავი, ქალბატონი როზას მიერ გაწეობილ სუფრის სურნელი ასდიოდა მუდამ შენს მიერ მოწყობილ წვეულებებს. დაუღალავი, მშრომელი კაცი იყავი. თამაზად შეიძლება ითქვას, რომ ხერხემალი იყო ქარხანა ფოთი ელექტრომანქანებისა, სხვა მთელი ცხოვრება იფუჯა და გარდაცვალებამდე მუშაობდი. გვერდში ედგო ქარხნის ცნობილ დირექტორებს.

სულ ახლახანს გურამს დავემშვიდობეთ, უფრო ადრე თამაზს, ჯემალს და კიდევ რამდენი წავიდა იქ დემონთო საუფლოში ჩვენი თმახუჭუჭა და ვარსკვლავთვალეობა მეგობრები, რომელთაც ძალზე სწავროდათ სიცოცხლე. ჩვენ ხომ ხშირად ვახსენებდით მათ სადღეგრძელოში. რას იზამ, ასე ყოფილა, სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდაა-უთქვამთ. წახვედი, ნადრევად არ ქვია ამ წასვლას. 80 შეგისრულდებოდა სულ მალე. შენ შენი საკეთებელი საქმე მართლაც პირნათლად გაქვს გაკეთებული ვალდებულები ხარ ერისა და ქვეყნის წინაშე, ვისწავლია, ვიშრომია, ოჯახი შეგიქმნია, შვილები გაგიზრდია, სიძეები შეგქმნია ვიზო ჯოჯუა და ჯემალი ნანავა. ბოლოს შვილიშვილებს გვანცა და ლევანს უზრდიდი სამშობლოს და მათ გაზრდაში შემოგადამდა. არაფერია, შენს ნაკვალევზე გაივლიან შვილიშვილები, იმათი შვილები და მთელი თაობები. და იმედია ტკბილი სიტყვებით მოგავიწყებენ შენ, როგორც ტკბილ ბაბუს, რამეთუ, შენც ხომ ტკბილად იგონებდი შენს საყვარელ მშობლებს ნოესა და ეკატერინეს, მეუღლეს როზას, ძმას გურამს (დაგუს), დას დამზირა, მეგობრებს, მეზობლებს. ისე არ ჩაივიდია სუფრა ისინი რომ არ გეხსენებინა. არც

ფოთი ელექტრო აპარატი ხომ მთელ საბჭოთა სივრცეში იყო ცნობილი. მის მიერ დამზადებული მცირე ელექტრო აპარატები და ხელსაწყოები მთელს კავშირში იგზავნებოდა და მისი დამზადება დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. შენც, მისი როგორც ერთ-ერთ ხელმძღვანელს მთელი საბჭოთა კავშირი გქონდა მოვლილი იაკუტიდან, ჩუკოტიდან, ვლადივასტოკიდან დაწყებული ბათუმამდე დამთავრებული. თოვლსა და ყინვაში, პაპანაქება სიცხეში გივლია, რათა ქარხანას სულად დატვირთვილი და დიდი წარმატებით ემუშავა, ამიტომაც მოგანიჭეს დამსახურებული ინჟინრის წოდება, უფრო მეტის ღირსიც იყავი. ბოლოს ქარხნის დირექტორი გახდი. ოცნებობდი კარგი დროის დაღვთებაზე, რათა კვლავ მთელი დატვირთვილი ავტომუშავებინა ქარხანა, რათა შეგება გერმანო ხალხს. ნინოშვილის უბანი ხომ ქარხნის მუშებით იყო დასახლებული და დამშვენებული დიდებული ოდა სახლებით. ქვეყნივეთ მოწყობილი ეუბებით, მაგრამ ვაგლახ ვერ შეძელი. მჯერა მომავალი თაობები გააგრძელებენ შენს მიერ დაწეულ საქმეს და სათანადოდ აღნიშნავენ შენს ნაღვალს. მანამ კი შენს მიერ გაშენებულ ხსნის ჰიშარზე აღბეჭდილი 2 ასო „რ.ქ.“ გამკვლავს შეახსენებს, რომ აქ ცხოვრობდა რომანი ქოიავა, ამაყი და სტუმართმოყვარე ქართველი. ჩვენ კი კიდევ ერთხელ გეუბნებით მშვიდობით ბატონო რომან. ყველანი ხომ სიკვდილის შვილები ვართ. დემონთა ნათელში ამყოფოს შენი სპეციალი სული. მემორიალის სახელით ვანო ნარმაიძე

გაზეთის ამ ნომრის სკონსორია შპს „ტოტალი“-დირექტორი გუთხუზი ბარაშია